დამატებითი შეთანხმება

სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემასა“ და შპს „გარდაბნის თბოსადგური 2“-ს შორის 28.07.2017წ. №60-7-117-1503 გაფორმებულ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ, გადამცემ ქსელთან მიერთების ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის შესახებ

ქ. თბილისი **--------2020წ.**

სს “საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა” (შემდგომში - „სსე“ ან “ელექტროსისტემა”), წარმოდგენილი რეაბილიტაციის მმართველის/მმართველთა საბჭოს თავმჯდომარის უჩა უჩანეიშვილის სახით, ერთის მხრივ და შპს „გარდაბნის თბოსადგური-2“ (შემდგომში - “კომპანია”), წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის მერაბ კიპაროიძის სახით, მეორეს მხრივ, ერთობლივად მოხსენიებულნი როგორც „მხარეები“, ხოლო ცალ-ცალკე „მხარედ“,

იმის გათვალისწინებით, რომ:

- მხარეთა შორის 28.07.2017წ. გაფორმდა N60-7-117-1503 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ, გადამცემ ქსელზე მიერთების ხელშეკრულება და 2020 წლის 20 თებერვლის N2/01-200220-1 (სსე-ს რეგისტრაციის თარიღი 2020 წლის 25 თებერვალი N957) წერილით კომპანიის მიერ მოთხოვნილ იქნა მიერთების ხელშეკრულებაში ცვლილებების განხორციელება;
- ამასთან, კომპანიის მოთხოვნა ტექნიკური, ფინანსური, ორგანიზაციული თუ სხვა სახით არ იწვევს რაიმე უარყოფით შედეგებს ან/და არ ახდენს უარყოფით გავლენას.

მხარეები შეთანხმდნენ შემდეგზე:

1. სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემასა“ და შპს „გარდაბნის თბოსადგური2“ს შორის გაფორმებულ 28.07.2017წ. N60-7-117-1503 გადამცემ ქსელთან მიერთების ხელშეკრულების (შემდგომში - „ხელშეკრულების“

ა) 6.1. პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რეაქციით:

„6.1. სსე-ს კუთვნილ ქსელზე კომპანიის ობიექტის მიერთება განხორციელდეს არაუგვიანეს 2020 წლის ივნისისა.“

2. წინამდებარე დამატებითი შეთანხმება წარმოადგენს ხელშეკრულების შემადგენელ და განუყოფელ ნაწილს და განხილულ უნდა იქნეს მხოლოდ მასთან ერთობლიობაში, ამასთან, ხელშეკრულების სხვა პირობები რჩება უცვლელი;

3. მხარეები თანხმდებიან, რომ კომპანიას არ გააჩნია რაიმე პრეტენზია აღნიშნულ ცვლილებებთან დაკავშირებით;
4. წინამდებარე დამატებითი შეთანხმება ძალაშია მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს ხელშეკრულებასთან ერთად.

ელექტროსისტემა

სს "საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა"

საიდ. კოდი: 204995176

მის: ქ.თბილისი, ზარათაშვილის ქ.№2 დ.

უჩა უჩანეიშვილი

მმართველთა საბჭოს თავმჯდომარე/

რეაბილიტაციის მმართველი

კომპანია

შპს „გარდაბნის თბოსადგური-2"

საიდ. კოდი: 426529759

მის: საქართველო, გარდაბანი,

აღმაშენებლის ქ. №2ბ

მერაბ კიპაროიძე

გენერალური დირექტორი

Gardabani TPP 2 LLC

Digitally signed by Gardabani TPP 2 LLC
Date: 2020.04.06 16:47:13 +04'00'